განმარტებითი ბარათი

ფოტო მასალის შესწავლამ აჩვენა, რომ არსებული საპროექტო შენობა სავარაუდოდ წარმოადგენს რკინა-ბეტონის კარკასულ ნაგებობას. შემავსებლად გამოყენებულია წვრილი სამშენებლო ბლოკი. სართულშუა გადახურვის ზოგიერთ ნაწილში გამოყენებულია ანაკრები ფილები.

საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშევებულ რეკონსტრუქციის პროექტში გათვალისწინებულია კონკურში წარმოდგენილი ყველა მოთხოვნა, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების გამოყენებით.

სამშენებლო ხარჯების გაიაფების მიზნით ფასადის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია რამოდენიმე სახის დეკორატიული ლესვა და აგური. ღიობებში უნდა დამონტაჟდეს ორმაგი მინა-პაკეტი, ალუმინის ალათებით.

ინტერიერში, კედლების მოსაპირკეთებლად გათვალისწინებულია თაბაშირ-მუყაოსა და კერამიკული ფილები (კაფელი). იატაკებზე კერამო გრანიტი, მეთლახი, რბილი იატაკი და ლამინირებული პარკეტი. ჭერებზე თაბაშირ-მუყაო და პლასტიკატის "შეკიდული ჭერი". აუზის მოსაპირკეთებელი მასალის ფაქტურა და ფერი იხილეთ აღნიშნული სათავსოს ინტერიერის დიზაინის ესკიზში.

შენობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროა დამუშავდეს მზიდი კონსტრუქციის გაძლიერების პროექტი. აუზის გადახურვის ანაკრები წიბოვანი ფილების დაზიანების მაღალი ხარისხის გამო, შეიძლება საჭირო გახდეს აღნიშნული გადახურვის დემონტაჟი და მის ნაცვლად ახალი მსუბუქი გადახურვის კონსტრუქციის მოწყობა, რაც ცნობილი გახდება შენობის დეტალური გამოკვლევით მიღებული დასკვნის შემდეგ.

შ.პ.ს. "ესსა"-ს დირქტორი: **გ.ნანავა**